MES 3 23 0001295772

04/10/2023

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:**

**1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

**დავით მალაზონია** - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
**თამარ მამსიკაშვილი** - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
**მანანა ჯინჭარაძე** - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი
**გიორგი გიგიბერია** - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
**ქეთევან ნატროშვილი** - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
**პეტრე ბაბილუა** - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
**მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
**ზვიად გოგუაძე** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
**მორის დანდურიშვილი** - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;
**ეკატერინე კვირიკაშვილი** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
**ნატო გაბოშვილი** - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
**შალვა მეკრავიშვილი** - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

**2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**თამარ ფიფია** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
**ნია გრიგალაშვილი** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
**ნინო სტეფანიშვილი** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
**თეა ლილუაშვილი** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
**გვანცა ნინიძე** -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
**ქეთევანი კევლიშვილი** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
**საბა ელაშვილი** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

**3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:**

**შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა:**
არჩილ სუმბაძე - სკოლის აკადემიური დირექტორი;
ალექსანდრე ვაშაკიძე - სკოლის აღმასრულებელი დირექტორი.
**სსიპ - ქალაქ ახალციხის №1 საჯარო სკოლა:**
ჟუჟუნა გოგოლაური - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი.
**სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურას საჯარო სკოლა:** ნანა ქევხიშვილი - დირექტორის მოვალების შემსრულებელი.
**სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №10 საჯარო სკოლა:**
ზურაბ კუპრეიშვილი - დირექტორის მოვალების შემსრულებელი.
**სსიპ - ქალაქ ბათუმის №17 საჯარო სკოლა:**
ირინე ვადაჭკორია- დირექტორის მოვალების შემსრულებელი.

**4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):**

**შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა:**
ა) მიხეილ ტეფნაძე;
ბ) თამარ მიდელაშვილი.

**სსიპ - ქალაქ ახალციხის №1 საჯარო სკოლა:**
ა) მაგდა მიქაბერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნინო გედეხაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) შორენა გაგუა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მირანდა თურმანიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნათია ღოღობერიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ქეთევან პარუნაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ანა ობოლაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) სოფიო ხვადაგიანი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ი) ნანა ცინცაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ელენე ბეთლემიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

**სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურას საჯარო სკოლა:**
ა) ლელა ფიცხელაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თორნიკე შევარდნაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) მალხაზ შატბერაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მაია შამუგია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) სოფიო მურუსიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლედი კუთხაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) დიმიტრი პოპოვი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მარიამ ჯვარიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნანა ცინცაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო ჭიჭინაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

**სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №10 საჯარო სკოლა:**
ა) ირმა ხუციშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მარიამ იაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ელენე მიდელაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნინო კაპანაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ზურაბ ურიადმყოფელი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მარიკა ბოცვაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ლილი კაცაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ირინე ჯანაშია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მაია ჩაჩხიანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მიხეილ გაფრინდაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო ჭიჭინაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

**სსიპ - ქალაქ ბათუმის №17 საჯარო სკოლა:**
ა) მაკა ჭიაბერაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მაკა კანდელაკი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) რუსუდან უსტიაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნიკა უთალიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თამთა პეტრიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) თამარ ხოსროშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მეგი კაპანაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) როლანდი ხოჯანაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მზია დადვანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნათია ბრეგაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99 /ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17- მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2023 წლის 20 სექტემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:30 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით, სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:**

**1.შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა თბილისის დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხის განხილვა;**
**2.შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა თბილისის საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხის განხილვა;**
**3.შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა თბილისის მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;**
**4.სსიპ - ქალაქ ახალციხის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;**
**5.სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურას საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;**
**6.სსიპ - ქალაქ ზუგდიდის N10 საჯაროსკოლის ავტორიზაციის საკითხის საკითხის განხილვა;**
**7. სსიპ - ქალაქ ბათუმის N17 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.**

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგში ცვლილებასთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი, შესაბამისად, დამტკიცდა წარმოდგენილი სახით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ საბჭოს გადაწყვეტილებით, შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა თბილისის დაწყებითი და საბაზო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხების განხილვა მოხდებოდა თანადროულად, რადგანაც შინაარსობრივად მეტწილად ერთსა და იმავე გარემოებებს შეეხებოდა.

**1.შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხის განხილვა**
**2.შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნების პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, თამარ მიდელაშვილმა და მიხეილ ტეფნაძემ. ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 15 აგვისტოს.

ექსპერტმა, თამარ მიდელაშვილმა განაცხადა, რომ სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა დაწყებითი და საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების ადგილის/ფართის ცვლილებაზე განაცხადები. სკოლა მდებარეობდა ქ. თბილისი, წყნეთი, რუსთაველის ქ. N52-ში ხოლო დაწყებითი და საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას გეგმავდა ასევე, მეორე მისამართზე, ქ. თბილისი, ვაშლიჯვრის დასახლება, მარშალ გელოვანის N1-ში.

ექსპერტის განცხადებით, შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 28 სექტემბრის N1178379 გადაწყვეტილებით, მინიჭებული ჰქონდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების ქართულ ენაზე განხორციელების მიზნით. დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული ჰქონდა 960-ით. ექსპერტის განმარტებით, ვიზიტის პერიოდში აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენდა 748-ს.

ექსპერტმა განაცხადა, რომ წინა ავტორიზაციის დასკვნაში ხარვეზები და რეკომენდაციები დაფიქსირებული არ ყოფილა, მიმდინარე წარმოებისას კი მესამე სტანდარტი შეფასდა ნაწილობრივ შესაბამისად.

ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ განაცხადა, რომ მესამე სტანდარტის ნაწილობრივ შესაბამისობა გამოწვეული იყო ვიზიტის პერიოდში მიმდინარე სარემონტო სამუშაოებით, სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა ელექტრონული საქმისწარმოება დანერგილი.

საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი დაინტერესდა სკოლას თუ ჰქონდა შენობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნები.

ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ განაცხადა, რომ აღნიშნული დასკვნები სკოლას ჰქონდა ახალ მისამართზე.

სკოლის აღმასრულებელმა დირექტორმა დამატებით განმარტა, რომ დაწესებულების ახალი შენობა მდებარეობდა სამშენებლო კომპანია $m^{2-}$ის ტერიტორიაზე, რომელიც ექსპლუატაციაში შევიდოდა მთლიანი სამშენებლო კომპლექსის დასრულების შემდგომ, რაც გათვლილი იყო ხანგრძლივ დროის პერიოდზე. თუმცა, მისი განმარტებით, უშუალოდ სკოლის შენობის მდგრადობის დასკვნა დაწესებულებას ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა თუ იყო მიმდინარე ეტაპზე სარემონტო სამუშაოები ახალ შენობაში დასრულებული.

სკოლის აკადემიურმა დირექტორმა, არჩილ სუმბაძემ დაადასტურა, რომ ამ ეტაპისთვის სარემონტო სამუშაოები სკოლის ტერიტორიაზე დასრულებული იყო.

ექსპერტის განმარტებით, მიმდინარე ვიზიტისას ახალ შენობაში სკოლა შესაბამისობაში იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან როგორც დოკუმენტურად, ასევე მატერიალურად ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
დაწესებულების წარმოამდგენელმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, დაწესებულებისთვის ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილებაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო საბჭოს ჩატარების დღე - 2023 წლის 20 სექტემბერი. მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვლისწინებით, რათა მათ შესძლებოდათ სასწავლო პროცესის დროულად დაწყება.
საბჭომ ერთხმად გაიზიარა აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა თბილისის მიერ ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ $25^2$ -ე მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტების შესაბამისად, განხორციელდეს შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის (ს/კ: 205089526) მიერ ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის ფართის ცვლილება. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს N1 დანართით გათვალისწინებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 20 სექტემბრიდან.
დანართი N1

| **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება** | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური** | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა** | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)** |
|---|---|---|---|
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | ქალაქი თბილისი, წყნეთი, რუსთაველის ქ. N52.<br>ქალაქი თბილისი, ვაშლიჯვრის დასახლება, მარშალ გელოვანის N1 |

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის მიერ ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ $25^2$ -ე მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტების შესაბამისად, განხორციელდეს შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის (ს/კ: 205089526) მიერ ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის ფართის ცვლილება. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს N2 დანართით გათვალისწინებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 20 სექტემბრიდან.
დანართი N2

| **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება** | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური** | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა** | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)** |
|---|---|---|---|
| ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | ქალაქი თბილისი, წყნეთი, რუსთაველის ქ. N52.<br>ქალაქი თბილისი, ვაშლიჯვრის დასახლება, მარშალ გელოვანის N1 |

საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებას ცენტრში უნდა წარმოედგინა ახალი შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი როგორც კი კომპლექსი შევიდოდა ექსპლუატაციაში.

**3.შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა თბილისის მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რ აოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, თამარ მიდელაშვილმა და მიხეილ ტეფნაძემ. ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 16 აგვისტოს.
ექსპერტმა, განაცხადა, რომ სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1230-მდე გაზრდის შესახებ განაცხადი. ექსპერტის განცხადებით, სკოლა მდებარეობდა თბილისი, წყნეთი, რუსთაველის ქ. N52-ში ხოლო დაწყებითი და საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას გეგმავდა მეორე მისამართზეც, თბილისი, ვაშლიჯვრის დასახლება, მარშალ გელოვანის N1-ში.
ექსპერტის განცხადებით, შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 28 სექტემბრის N1178379 გადაწყვეტილებით მინიჭებული ჰქონდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება ქართულ ენაზე, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული ჰქონდა 960-ით. ექსპერტის განმარტებით, ვიზიტის პერიოდში აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენდა 748-ს.
ექსპერტის განმარტებით, სკოლას ჰქონდა მატერიალური და ადამიანური რესურსი იმისთვის, რომ საგანმანათლებლო საქმიანობა გაეწია 1230 მოსწავლისთვის, ორივე მისამართზე.
დაწესებულების წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, დაწესებულებისთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად მიჩნეულიყო საბჭოს ჩატარების დღე - 2023 წლის 20 სექტემბერი. მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, რათა სკოლას შესძლებოდა მოსწავლეთა დროულად ჩარიცხვა. საბჭომ ერთხმად გაიზიარა აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდისა და 1230-ით განსაზღვრის შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 28-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 29-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის (ს/კ: 205089526) გაეზარდოს მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 1230-ით. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 20 სექტემბრიდან.

საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებას ცენტრში უნდა წარმოედგინა ახალი შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი როგორც კი კომპლექსი შევიდოდა ექსპლუატაციაში.

**4. სსიპ - ქალაქ ახალციხის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) თავმჯდომარემ საკითხის განხილვა დაიწყო დაწესებულებების წარმომადგენლებთან და საბჭოს წევრებთან მიმართვით, ხომ არ ჰქონდათ ერთმანეთის მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ, ასევე საბჭოს წევრებმაც დააფიქსირეს იგივე. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა კვლავ საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა მაგდა მიქაბერიძემ. ექპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ახალციხის N1 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 29-30 ივნისს,
ექსპერტმა მაგდა მიქაბერიძემ განმარტა, რომ აღნიშნული დაწესებულება, ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, სწავლა სწავლების პროცესს განახორციელებს ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლის მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 1400-ს, რასაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი.
ექსპერტმა, მაგდა მიქაბერიძემ საბჭოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას განუმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა შესაბამისობაში შეაფასა 1-ლი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი სამივე საფეხურზე) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა)სტანდარტები, ხოლო მე-3 სტანდარტი (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა), შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, შეფასდა ნაწილობრივ შესაბამისად. მესამე სტანდარტის აღნიშნული შეფასება გამოწვეული იყო: 3.1, 3.4, 3.5, 3.6 კომპონენტების მეტწილ შესაბამისად შეფასებით.
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა იმ რეკომენდაციებსა და რჩევებზე, რომლებიც ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა გასცა სტანდარტების კომპონენტებისა და შესაბამისობის გეგმაში დაფიქსირებული აქტივობების მიხედვით. აღნიშნული დეტალურად გაწერილი იყო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ რა საშუალებებით ადასტურებდნენ ან აპირებენ, რომ უახლეს მომავალში დაადასტურონ, სკოლის შენობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების საკითხები. ეს კითხვა გაჩნდა გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნულის მტკიცებულებები, როგორც საბოლო დასკვნაში იკითხებოდა, ჯერ სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი. სკოლის დირექტორმა განუმარტა საბჭოს წევრებს, რომ უკვე გაგზავნილი იყო ოფიციალური წერილი შესაბამის უწყებებთან და აღნიშნულის მოგვარება იგეგმებოდა მიმდინარე წლის დეკემბერში ან უკიდურეს შემთხვევაში, მომავალი წლის იანვრის თვეში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ახალციხის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1400-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე:** 12
**წინააღმდეგი:** 0

**გადაწყვეტილება:**
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ახალციხის N1 საჯარო სკოლას (ს/კ: 224081437) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1400 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს N3 დანართით გათვალისწინებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები.

დანართი N3

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | ქ. ახალციხე, მიქუტიშვილის ქუჩა N2 |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | ქ. ახალციხე, მიქუტიშვილის ქუჩა N2 |
| 3 | | საშუალო | ქართული | ქ. ახალციხე, მიქუტიშვილის ქუჩა N2 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | | | |

მიუხედავად იმისა, რომ 1-ლი, მე-2 და მე-4 სტანდარტები ექსპერტთა მხრიდან შეფასდა, როგორც შესაბამისი, გაცემული იყო მთელი რიგი რეკომენდაციები და რჩევები ამ მიმართულებებით, საბჭო შეჯერდა, რომ 4-ივე სტანდარტთან მიმართებით განესაზღვრა მონიტორინგი, შესაბამისად საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის სექტემბრიდან;
- მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი;
- მონიტორინგის ფარგლები: პირველი, მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 და მე-4 სტანდარტები.

**5. სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა.
მან განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 17 და 18 ივლისს. სკოლა მდებარეობდა თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურაში, ექსპერტმა ლელა ფიცხელაურმა განაცხადა, რომ დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე, ხოლო თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 350-ს.
ექსპერტმა ლელა ფიცხელაურმა განაცხადა, რომ სკოლამ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, შეიმუშავა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერა გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის პერიოდები.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დაწესებულებაში იგრძნობდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში და გუნდურობა.
რაც შეეხება სკოლის მატერიალურ რესურსს, დაწესებულება განთავსებული იყო 4763 კვ.მ ფართზე მდებარე 3 სართულიანი შენობა - ნაგებობა, ექსპერტმა პრეზენტაციის ფარგლებში ასევე წარმოადგინა დაწესებულის შენობა - ნაგებობისა და მატერიალური რესურსის ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლა რეაბილიტირებული იყო მილენიუმის პროგრამის ფარგლებში.

ექსპერტმა ლელა ფიცხელაურმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა გარე და შიდა სპორტული სივრცე, სკოლის პირველი სართული ადაპტირებული იყო პანდუსით.
ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა პრეზენტაციის ფარგლებში ისაუბრა მოსწავლეთა მხარდაჭერასა და სასკოლო საზოგადოების ჩართულობაზე და აღნიშნა, რომ ვიზიტის პროცესში ისინი გაეცნენ სხვდასხვა განხორციელებულ პროექტებს, მოსწავლეებისა და მასწავლებლების კონფერენციებს.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლა მონაწილეობდა ბიზნეს ფორუმზე, სადაც მათ წარდგენილი ჰქონდათ პროექტი სახელწოდებით „ მომავალი ფერმერები“, რომელიც მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს მოსწავლეთა პროფორიენტაციის მიმართულების განვითარებას.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს ხო არ ჰქონდათ კითხვები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
სკოლის ხელმძღვანელმა შენობის სახანძრო უსაფრთხოების დასკვნასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პროექტი შეთანხმებული იყო შესაბამის კომპეტენტურ ორგანოსთან და ასევე მოთხოვნა გაგზავნილი იყო ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან, რომელზეც პასუხი სკოლას მოუვიდა და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ დაწესებულებას ექნებოდა შესაბამისი დასკვნა. დაწესებულების დირექტორმა ასევე აღნიშნა, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული იყო შესაბამის კომპეტენტურ ორგანოსთან.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საგნობრივი მიმართულების ექსპერტებს, რომ აღნიშნულ სკოლასთან მიმართებით, კურიკულუმებთან დაკავშირებით დაეფიქსირებინათ პოზიცია.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საგნობრივმა ექსპერტმა განაცხადა, რომ მან დაათვალიერა, სკოლაში არსებული ლაბორატორია და ყველა ის რესურსი, რაც დაწესებულებას გააჩნდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით, რაც შეეხებოდა კურიკულუმებს, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის პროცესში პედაგოგები იყვნენ ჩართულნი კურიკულუმების შემუშავების პროცესში.
საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა მაია შამუგიამ განაცხადა, რომ კურიკულუმებში მეტნაკლებად წარმოდგენილი იყო სამიზნე ცნებები და კომპლექსური დავალებები. მან ასევე აღნიშნა, რომ სკოლა ყურადღებას ამახვილებდა არაფორმალურ განათლებაზე, კერძოდ დაწესებულუბაში ხორციელდებოდა არაერთი პროექტი საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით.
ესთეტიკური აღზრდის საგნობრივმა ექსპერტმა, ლედი კუთხაშვილმა განაცხადა და ხაზი გაუსვა იმას, თუ სკოლაში, რამდენად გუნდურად მუშაობდნენ პედაგოგები, რაც ისახებოდა ასევე წარმოდგენილ კურიკულუმებშიც.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურას საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 350-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე-12
წინააღმდეგი-0

**გადაწყვეტილება:**
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ 1

ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის საჯარო სკოლას (ს/კ: 231263842) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 350 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს N4 დანართით გათვალისწინებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები.

დანართი N4

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | თელავის მუნიციპალიტეტი, სოფელი აკურა |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | თელავის მუნიციპალიტეტი, სოფელი აკურა |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | თელავის მუნიციპალიტეტი, სოფელი აკურა |

საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებით განსაზღვრული 3.4. და 3.5. კომპონენტის მოთხოვნები 2025 წლის სექტემბრის ჩათვლით შესაბამისობაში მოიყვანოს და აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარმოადგინოს ცენტრში.

**6.სსიპ - ქალაქ ზუგდიდის N10 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტმა, ირმა ხუციშვილმა.
ექსპერტმა, ირმა ხუციშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 31 ივლისსა და პირველ აგვისტოს. დაწესებულება ახორციელებს ზოგადი განათლების

დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. დაწესებულება მდებარეობს ქალაქ ზუგდიდში, ვლ. ესებუას N3-ში. ექსპერტმა განაცხადა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურვილი აქვს საგანმანათლებლო საქმიანობა განახორციელოს 700 მოსწავლისთვის, რასაც ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება.
ექსპერტის განმარტებით ქ. ზუგდიდის N10 საჯარო სკოლის შენობა იყო ადაპტირებული, საკლასო ოთახები კეთილმოწყობილი და რეაბილიტირებულია. სკოლაში იყო, როგორც ღია, ისე დახურული სპორტული მოედანი. სკოლა აღჭურვილი იყო საჭირო რესურსებით, საბუნებისმეტყველო და საინფორმაციო ლაბორატორიებით, ბიბლიოთეკით. მოსწავლეთა რაოდენობისა და საფეხურების შესაბამისი სასკოლო ინვენტარით (სასკოლო მერხები და სკამები).
ექსპერტ, ირმა ხუციშვილის განმარტებით, პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც "შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს".
ექსპერტ, ირმა ხუციშვილის განმარტებით, სამივე საფეხურის კურიკულუმები მეორე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც "სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს". მეორე სტანდარტთან მიმართებით სკოლას მიეცა რჩევები.
ექსპერტ ირმა ხუციშვილის განმარტებით მესამე სტანდარტი შეფასდა ნაწილობრივ შესაბამისად, გამომდინარე იქიდან რომ 3.1., 3.4., და 3.6. კომპონენტები შეფასდა მეტწილ შესაბამისად.
ექსპერტ ირმა ხუციშვილის განმარტებით, მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც "მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, ვინაიდან სტანდარტის ორივე კომპონენტი შეფასდა "მეტწილი" შესაბამისობით. ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები დეტალურად იყო აღწერილი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა, რომ მნიშვნელოვანი იყო გამოსწორებულიყო მესამე სტანდარტთან მიმართებით სკოლაში იმ პერიოდისთვის არსებული მთავარი ნაკლოვანებები, რაც გულისხმობდა სკოლის მხრიდან შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნის მოპოვებას, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესაბამის სამსახურთან შეთანხმებას და შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან დასკვნის მოპოვებას. მან ასევე აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა თუ სკოლა გაითვალისწინებდა მეორე სტანდარტთან მიმართებით გაცემულ რჩევებს, რომელიც ეხებოდა შეფასების კრიტერიუმებს. მან ასევე ხაზი გაუსვა, მეოთხე სტანდარტის კომპონენტების "სრული შესაბამისობით" შეფასებას, რამდენადაც მეოთხე სტანდარტი მოსწავლეთა უფლებებს მიემართება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ზუგდიდის N10 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 700-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 12
წინააღმდეგი- 0

**გადაწყვეტილება:**
გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული

„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად სსიპ - ქალაქ ზუგდიდის N10 საჯარო სკოლას (ს/კ: 220355309) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 700 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს N5 დანართით გათვალისწინებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები.

დანართი N5

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | ქ. **ზუგდიდი ვლ.ესებუას N3** |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | ქ. **ზუგდიდი ვლ.ესებუას N3** |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | ქ. **ზუგდიდი ვლ.ესებუას N3** |

საბჭოს გადაწყვეტილებით, სკოლას მიეცა რეკომენდაცია ცენტრში წარმოადგინოს მესამე სტანდარტის (3.4 და 3.6 კომპონენტების) შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ დოკუმენტაცია 2025 წლის სექტემბრამდე.

**7. სსიპ - ქალაქ ბათუმის N17 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ჭიაბერაშვილმა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სსიპ - ქალაქ

ბათუმის N17 საჯარო სკოლაში ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 31 ივლისსა და პირველ აგვისტოს. დაწესებულება მდებარეობდა ქალაქ ბათუმში, ნონეშვილის ქ. N1/5-ში. დაწესებულება სწავლას ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 650-ით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა მხარს უჭერდა დამატებითი/არაფორმალური აქტივობების განხორციელებას და მოსწავლეთა ინიციატივებს, კერძოდ, სკოლაში ფუნქციონირებდა მოსწავლეთა თვითმმართველობა, სამოქალაქო კლუბი „მოქალაქეები“.

ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ვიზიტის ფარგლებში მოპოვებული ფოტო მასალა და ისაუბრა სკოლის ინფრასტრუქტურის თაობაზე. ექსპერტმა განსაკუთრებით აღნიშნა სკოლის ფოი, რომელიც მოიცავდა დიდ ღია სივრცეებს მოსწავლეთა გართობა-დასვენებისთვის და დამატებითი აქტივობების განსახორციელებლად, ასევე, ღია და დახურული სპორტული დარბაზები, სკოლის მზის ენერგიით მომარაგების სისტემა. ექსპერტის განმარტებით, სკოლა აღჭურვილი იყო საგანმანათლებლო განხორციელებისთვის შესაბამისი ინვენტარით, ბიბლიოთეკით.

ექსპერტის განცხადებით, პირველი და მეოთხე სტანდარტები შეფასდა შესაბამისად. მეორე სტანდარტი მეტწილ შესაბამისად. ხოლო მესამე სტანდარტი ნაწილობრის შესაბამისად. ექსპერტმა განმარტა, რომ ყველა იმ ინდიკატორის მიმართ გაცემული რეკომენდაციები, რომლებმაც გამოიწვია სტანდარტის მეტწილ ან ნაწილობრივ შესაბამისობა, დეტალურად გაწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა სკოლას მიმართა კითხვით, ჰქონდა თუ არა სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავდა შეფასების სისტემისა და კურიკულუმის განვითარებას. სკოლის დირექტორმა მიუთითა, რომ ვერიფიკაციის წესი უკვე დამტკიცებული იყო, კურიკულუმების დახვეწაში მასწავლებლები უკვე გათვიცნობიერებული იყვნენ მხარდამჭერი ჯგუფების (ქოუჩების) დახმარებით, სკოლაში ხარისხის მართვის ჯგუფი იყო შექმნილი, რომელშიც გამოყოფილი მასწავლებლები გუნდურად ახორციელებენ მხარდაჭერას.

დაწესებულების წარმომადგენელმა მიმართა საბჭოს და განაცხადა, რომ სკოლას ცენტრისთვის მიმართული ჰქონდა წერილით, რომლითაც იუწყებოდა რომ თვითშეფასების კითხვარში სკოლას მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა მოთხოვნილი ჰქონდა 650, სკოლა შუამდგომლობით მიმართავდა საბჭოს მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 720-ით განსაზღვრის თაობაზე. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში პირველკასელთა რაოდენობა აჭარბებდა სკოლის მიერ თვითშეფასების მოთხოვნილ რაოდენობას 7 მოსწავლით, შესაბამისად, საჭირო გახდა მოსწავლეთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის გაზრდა. დირექტორის თქმით, მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრა შესაბამისი რესურსების გათვალისწინებით, რასაც ასევე ადასტურებდნენ ექსპერტებიც.

საბჭოს წევრმა ზვიად გოგუაძემ დააყენა შუამდგომლობა, სკოლას წარმოედგინა პირველკლასელთა რაოდენობის განსაზღვრის ბრძანება, რასაც დაეთანხმენ საბჭოს წევრები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ბათუმის N17 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 720-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ბათუმის N17 საჯარო სკოლას ავტორიზაციის საკითხის (ს/კ: 245429567) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 720 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს N6 დანართით გათვალისწინებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები.

დანართი N 6

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | **ქალაქი ბათუმი, ნონეშვილის ქ. N1/5** |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | **ქალაქი ბათუმი, ნონეშვილის ქ. N1/5** |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | **ქალაქი ბათუმი, ნონეშვილის ქ. N1/5** |

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის სექტემბრიდან;
- მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი;
- მონიტორინგის ფარგლები: მე-2 სტანდარტი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), და მესამე სტანდარტის 3.1, 3.4, 3.5 და 3.6 კომპონენტები.

საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებამ ცენტრში უნდა გადმოაგზავნოს 1.2 და 4.2 კომპონენტების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ შესაბამისი დოკუმენტაცია 2025 წლის სექტემბრამდე.
სკოლამ მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში ცენტრში უნდა წარმოადგინოს პირველკლასელთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ სკოლის ბრძანება.

დღის წესრიგით გათალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა 18:30 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით





სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა